საქართველოს მთავრობის

დადგენილება №281

2023 წლის 3 აგვისტო

ქ. თბილისი

„2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №609 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №609 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2022, 470000000.10.003.023820) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ დანართი №8-ის („დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“ – პროგრამული კოდი: 27 03 02 08) დანართი №8.2-ის („ანტენატალური მეთვალყურეობა“) პირველი პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. მე-5 და მე-7 ანტენატალური ვიზიტი განსაკუთრებულ შემთხვევებში (მეტეოროლოგიური პირობები, სეზონური გრიპები და ა. შ.) შესაძლებელია, ჩატარდეს დისტანციურ რეჟიმში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**